# დეკლარაცია ღია პარლამენტის შესახებ

## პრეამბულა

რადგან ინკლუზიური, ანგარიშვალდებული, ხელმისაწვდომი და ღია პარლამენტი, საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოსილების (კანონშემოქმედებითი საქმიანობა, წარმომადგენლობა, აღმასრულებელი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაზე ზედამხედველობა) გათვალისწინებით, დემოკრატიზაციის პროცესში მთავარ როლს ასრულებს;

რადგან ღია და გამჭვირვალე პარლამენტი შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, პარლამენტის საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობდნენ და პარლამენტის წევრები საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული გახადონ, აგრეთვე უზრუნველყოფს მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენას;

რადგან ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებებით[i] და საერთაშორისო საპარლამენტო საზოგადოების მიერ მიღებული დემოკრატიული პარლამენტის საერთაშორისო სტანდარტებითა და ნორმებით[ii] დადგენილია მოქალაქეთა უფლება, მმართველობაში მონაწილეობდნენ და საპარლამენტო ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებოდეთ; აგრეთვე რადგან საერთაშორისო ინსტიტუტებმა მყარი საფუძველი ჩაუყარეს გამჭვირვალობას ინტერნეტსივრცეში[iii];

რადგან საზოგადოების მიერ საპარლამენტო ინფორმაციის გამოყენების კონტექსტი ციფრულ ეპოქაში მნიშვნელოვნად შეიცვალა და მოქალაქეებს აქვთ კარგი მმართველობის მოლოდინი; აგრეთვე რადგან ახალი ტექნოლოგიებით შესაძლებელია **საპარლამენტო ინფორმაციის ანალიზი** და ხელმეორედ გამოყენება, რაც საერთო ცოდნის შემუშავებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის განმტკიცების დიდ შესაძლებლობებს იძლევა;

რადგან ტრადიციების, გამოცდილების, რესურსებისა და კონტექსტის ვარიაციებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ მიუდგება პარლამენტი ღიაობის ზრდას, ზემოაღნიშნული არ ამცირებს საპარლამენტო ღიაობისა და გამჭვირვალობის გაზრდის მნიშვნელობას;

რადგან საპარლამენტო ღიაობის საჭიროება განმტკიცებულია უფრო ფართო სამთავრობო ღიაობის საჭიროებით და მრავალი მთავრობა ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა უფრო გამჭვირვალე, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მმართველობების მისაღწევად შესაბამისი გაზომვადი ვალდებულებები შეიმუშაოს;

რადგან სულ უფრო მეტ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას სურს თანამშრომლობა და პარლამენტის დემოკრატიული ანგარიშვალდებულების გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება, ხოლო ამ როლის ეფექტიანად შესრულებისათვის მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს საპარლამენტო ინფორმაციაზე; აგრეთვე რადგან პარლამენტსა და საპარლამენტო მონიტორინგის ორგანიზაციებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის მრავალი პრეცედენტი არსებობს, რაც საპარლამენტო ინფორმაციის ღიაობის გაზრდის ძალისხმევას განამტკიცებს,

ამიტომაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა[iv] შეიმუშავეს პარლამენტის ღიაობის პრინციპები და პირობას დებენ, რომ განავითარებენ მათ.

## ღიაობის კულტურის სტიმულირება

### 1. საპარლამენტო ინფორმაციის საჯარო საკუთრებად აღიარება

საპარლამენტო ინფორმაცია საზოგადოებას ეკუთვნის; მოქალაქეებს უფლება უნდა ჰქონდეთ, საპარლამენტო ინფორმაცია სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენონ და გამოაქვეყნონ. ყველა გამონაკლისი ან შეზღუდვა კანონით დეტალურად განმარტებული უნდა იყოს.

### 2. ღიაობის კულტურის გაძლიერება კანონმდებლობით

პარლამენტი ვალდებულია შეიმუშაოს კანონმდებლობა, შიდა რეგლამენტი და ეთიკის კოდექსი, რომლებიც ხელს შეუწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც სამთავრობო ინფორმაციასა და საპარლამენტო ინფორმაციაზე საზოგადოების უფლება გარანტირებულია, ღია მმართველობის კულტურა სტიმულირებულია, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება დაცულია და სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების საკანონმდებლო პროცესებში ჩართულობა უზრუნველყოფილია.

### 3. ღიაობის კულტურის დაცვა ზედამხედველობით

ზედამხედველობის განხორციელებისას პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ღია მმართველობის კანონმდებლობა ეფექტიანად სრულდებოდეს და მთავრობის საქმიანობა მიმართული იყოს ღიაობის კულტურის სტიმულირებისაკენ.

### 4. სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა

პარლამენტი ვალდებულია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, სამოქალაქო განათლებას საპარლამენტო პროცედურების, საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის, როლისა და პარლამენტის წევრების შესახებ ცოდნის ამაღლებით.

### 5. მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა

პარლამენტი ვალდებულია მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოება, დისკრიმინაციის გარეშე, საკანონმდებლო და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში აქტიურად ჩართოს, რათა მოქალაქეების ინტერესები ეფექტიანად წარმოადგინოს და მათ შესაძლებლობა მისცეს, მთავრობას პეტიციებით მიმართონ.

### 6. დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების დაცვა

პარლამენტი ვალდებულია მხარი დაუჭიროს ღონისძიებებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თავისუფალ და შეუზღუდავ საქმიანობას უზრუნველყოფს.

### 7. ეფექტიანი საპარლამენტო მონიტორინგის შესაძლებლობა

პარლამენტი აღიარებს სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და ფართო საზოგადოების უფლებას და ვალდებულებას, მონიტორინგი გაუწიონ პარლამენტისა და პარლამენტის წევრების საქმიანობას. პარლამენტი კონსულტაციებს მართავს ფართო საზოგადოებასთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რათა ეფექტიანი მონიტორინგი წახალისოს და საპარლამენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული დაბრკოლებები შეამციროს.

### 8. მართებული პრაქტიკის გაზიარება

პარლამენტი საერთაშორისო და რეგიონალურ დონეებზე აქტიურად მონაწილეობს სხვა პარლამენტებისა და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის მართებული პრაქტიკის გაზიარებაში, რათა საპარლამენტო ინფორმაციის ღიაობა და გამჭვირვალობა გაზარდოს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გააუმჯობესოს და დემოკრატიული პრინციპების ერთგულება გააძლიეროს.

### 9. გასაჩივრების მექანიზმის უზრუნველყოფა

პარლამენტი შეიმუშავებს კანონმდებლობას ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის უზრუნველსაყოფად, როდესაც დავის საგანია სამთავრობო ან საპარლამენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

### 10. ამომწურავი ინფორმაციის გავრცელება

საჯაროდ ხელმისაწვდომი საპარლამენტო ინფორმაცია ამომწურავი უნდა იყოს და სრულად უნდა ასახავდეს საპარლამენტო საქმიანობას, გარდა კანონით მკაცრად და კონკრეტულად განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

### 11. ინფორმაციის დროულად მიწოდება

საპარლამენტო ინფორმაცია საზოგადოებას დროულად, როგორც წესი, დაუყონებლივ, უნდა მიეწოდოს. საპარლამენტო ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს, როგორც კი ის პარლამენტის შიგნით ხელმისაწვდომი გახდება.

### 12. ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფა

პარლამენტი უზრუნველყოფს სანდო ჩანაწერების შენახვას, რომლებიც საზოგადოებას ზუსტ ინფორმაციას აწვდის.

## საპარლამენტო ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

### 13. საპარლამენტო გამჭვირვალობის პოლიტიკის დოკუმენტების მიღება

პარლამენტი იღებს პოლიტიკის დოკუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საპარლამენტო ინფორმაციის პროაქტიულ გავრცელებას, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმატის მოწესრიგებასა და უნიფიკაციას. საპარლამენტო გამჭვირვალობის პოლიტიკის დოკუმენტები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ტექნოლოგიური ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკული მაგალითების გასათვალისწინებლად უნდა განისაზღვროს მათი გადასინჯვის პერიოდულობა. თუ პარლამენტს არ შეუძლია ამომწურავი საპარლამენტო ინფორმაციის გამოქვეყნება, ფართო საზოგადოებისათვის აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მან უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან.

### 14. პარლამენტის როლისა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს პარლამენტის კონსტიტუციური როლის, სტრუქტურის, ფუნქციების, შიდა წესების, ადმინისტრაციული და სამუშაო პროცედურების შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, კომიტეტების თაობაზე ინფორმაციის, ხელმისაწვდომობა.

### 15. პარლამენტის წევრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის მუდმივად განახლებადი და საკმაო ინფორმაციის მიწოდება პარლამენტის წევრების კვალიფიკაციის, პარტიული კუთვნილების, მანდატის, სხდომების მუშაობაში მონაწილეობის და იმ როლის შესახებ, რომელსაც ისინი ასრულებენ პარლამენტის საქმიანობაში, აგრეთვე აპარატის თანამშრომლების ვინაობის შესახებ ინფორმაციისა და დამატებით სხვა ინფორმაციის მიწოდება, რომლის გამჟღავნებაც პარლამენტის წევრებს სურთ. პარლამენტის წევრებისა და საპარლამენტო ბიუროების საკონტაქტო ინფორმაციაც საჯარო უნდა იყოს.

### 16. პარლამენტის თანამშრომლებისა და ადმინისტრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს პარლამენტის ადმინისტრაციული ფუნქციონირებისა და აპარატის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებისათვის პასუხისმგებელი თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს.

### 17. პარლამენტის დღის წესრიგის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საპარლამენტო საქმიანობის განრიგთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება: სესიების კალენდარი, დაგეგმილი კენჭისყრების შესახებ ინფორმაცია, დღის წესრიგი და საკომიტეტო მოსმენების განრიგი. პარლამენტმა საზოგადოებასა და სამოქალაქო ორგანიზაციებს განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაცია იმ ვადაში უნდა მიაწოდოს, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, პარლამენტის წევრებს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობა დაჩქარებული წესით განიხილება.

### 18. მოქალაქეების ჩართვა კანონპროექტების მომზადებაში

კანონპროექტები საჯარო უნდა იყოს და ინიციირებისთანავე უნდა გამოქვეყნდეს. მოქალაქეების სრულად ინფორმირებისა და მათი მოსაზრებების მიღების საჭიროების გათვალისწინებით, პარლამენტმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს კანონპროექტზე თანდართული მასალები, რათა შესაბამის კანონმდებლობაზე სრულფასოვანი კამათი წაახალისოს.

### 19. საკომიტეტო მოსმენების ოქმების გამოქვეყნება

კომიტეტების ოქმების ანგარიშები, მათ შორის, შექმნილი ან მიღებული დოკუმენტები, საჯარო შეხვედრებზე მოწმეების ჩვენებები, ჩანაწერები და კომიტეტის საქმიანობის შესახებ ანგარიშები, დროულად უნდა გასაჯაროვდეს.

### 20. საპარლამენტო კენჭისყრების ჩაწერა

ამომრჩევლების წინაშე პარლამენტის წევრების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად პარლამენტმა მინიმუმამდე უნდა შეამციროს პლენარულ სხდომებზე ზეპირი კენჭისყრის ჩატარება და უნდა გამოიყენოს სახელობითი კენჭისყრა ან კენჭისყრა ელექტრონული სისტემით, რათა პლენარულ სხდომებზე და კომიტეტებში თითოეული წევრის მიერ ხმის მიცემის შესახებ მონაცემები შეინახოს და ხელმისაწვდომი გახადოს. პარლამენტმა აგრეთვე უნდა შეამციროს უფლებამონაცვლეების მიერ ხმის მიცემის უფლებით სარგებლობა და უზრუნველყოს, რომ ამ პროცესმა გამჭვირვალობისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების ნორმები არ დაარღვიოს.

### 21. პლენარული სხდომების ჩანაწერების გამოქვეყნება

პარლამენტმა უნდა შექმნას, შეინახოს და გამოაქვეყნოს პლენარული სხდომების სრულყოფილი ჩანაწერები, სასურველია აუდიო- ან ვიდეოჩანაწერების ფორმით, რომლებიც განთავსდება ინტერნეტში უცვლელ ადგილას, აგრეთვე სტენოგრამის ან ჰანსარდის ანგარიშის სახით.

### 22. პარლამენტის მიერ მომზადებული ან პარლამენტში წარდგენილი ანგარიშების გამოქვეყნება

ყველა ანგარიში, რომლებიც პარლამენტმა მოამზადა ან პარლამენტს, მის დეპარტამენტებს ანდა კომიტეტებს უნდა წარედგინოს, საჯარო უნდა იყოს, გარდა კანონით მკაცრად განსაზღვრული შემთხვევებისა.

### 23. ბიუჯეტისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

პარლამენტი ვალდებულია გაასაჯაროოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და საჯარო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, **წინა წლის,** მიმდინარე და დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც სრული, დეტალური და ადვილად გასაგები უნდა იყოს. ამასთანავე, პარლამენტს ეკისრება ვალდებულება, გამოაქვეყნოს უშუალოდ პარლამენტის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, საკუთარი ბიუჯეტის შესრულების, ტენდერებისა და ხელშეკრულებების თაობაზე ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია სრულად უნდა გასაჯაროვდეს გასაგები ენით დაწერილი მოკლე შეჯამებებით, ახსნა-განმარტებებით ან ანგარიშებით, რომლებიც მოქალაქეებს დაეხმარება, ეს დოკუმენტები უკეთ გაიგონ.

### 24. პარლამენტის წევრების ქონების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა

იმისათვის, რომ მოქალაქეებმა პარლამენტის წევრების სამსახურისა და უანგარობის შესახებ დასაბუთებული დასკვნები გამოიტანონ, პარლამენტმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ამ მიზნისათვის საკმარისი ინფორმაცია, მათ შორის, პარლამენტის წევრების ქონების, საპარლამენტო ხარჯებისა და არასაპარლამენტო საქმიანობით მიღებული შემოსავლების (როგორებიცაა: პროცენტები, დივიდენდები, გაქირავებით მიღებული შემოსავალი ან სხვა არამატერიალური შემოსავალი) შესახებ ინფორმაცია.

### 25. არაეთიკური საქციელისა და ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება

პარლამენტმა უნდა დაადგინოს ზუსტი წესები, რომლებიც ინტერესთა არსებული ან პოტენციური კონფლიქტისა და ეთიკური ნორმების დარღვევის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, ლობისტებთან და ინტერესთა ჯგუფებთან პარლამენტის წევრების ურთიერთობის თაობაზე ინფორმაციის, საჯაროობას უზრუნველყოფს. პარლამენტმა აგრეთვე უნდა გაასაჯაროოს ნებისმიერი სასამართლო ან საპარლამენტო გამოძიების, არაეთიკური საქციელის, ინტერესთა კონფლიქტის ან კორუფციის ბრალდების შესახებ ინფორმაცია.

### 26. საარქივო ინფორმაციის მიწოდება

წინა მოწვევის პარლამენტის სესიების შესახებ ინფორმაცია ციფრულ ფორმატში, კანონიერი შეზღუდვებისა და მოსაკრებლის გარეშე, მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისათვის. თუ პარლამენტს არ შეუძლია საკუთარი ინფორმაციის ციფრულ ფორმატში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საპარლამენტო ინფორმაციის საჯარო გავრცელების უზრუნველყოფის მიზნით მან უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო ორგანიზაციებთან. პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს პარლამენტის ბიბლიოთეკაზე და პარლამენტის წევრებსა და საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეთ, გაეცნონ პარლამენტის შესახებ ისტორიულ ინფორმაციას.

## საპარლამენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაადვილება

### 27. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა არხით

პარლამენტმა საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა არხით, როგორებიცაა: სხდომებზე დასწრება, ბეჭდური მედია, რადიოგადაცემები და სატელევიზიო გადაცემები, ინტერნეტი და მობილური ტექნოლოგიები.

### 28. ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პარლამენტი და მისი პლენარული სხდომები ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი და ღია უნდა იყოს; უნდა არსებობდეს მხოლოდ უსაფრთხოებით და შენობის ფიზიკური შესაძლებლობებით გამოწვეული შეზღუდვები.

### 29. მედიისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მედიასა და დამოუკიდებელ დამკვირვებლებს საპარლამენტო პროცესებთან სრული **დაშვება** ჰქონდეთ; მედიისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კრიტერიუმები და პროცესი ზუსტად განსაზღვრული და საჯარო უნდა იყოს.

### 30. პირდაპირი ტრანსლაციისა და ჩანაწერის უზრუნველყოფა

პარლამენტმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ, საპარლამენტო ღონისძიებებს თვალი ადევნონ პირდაპირ ეთერში ან მოთხოვნისამებრ არქივის მეშვეობით, რადიოთი, ტელევიზიით ანდა ინტერნეტით.

### 31. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით

შესაძლებლობის ფარგლებში საპარლამენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ უნდა შეიზღუდოს გეოგრაფიული ბარიერებით. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებგვერდი უზრუნველყოფს საპარლამენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გეოგრაფიული შეზღუდვების გარეშე იმ ქვეყნებში, სადაც ინტერნეტთან წვდომა და მისი მოხმარება შეზღუდულია, პარლამენტმა სხვა საშუალებები უნდა მოძებნოს, რათა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის საპარლამენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით.

### 32. გასაგები ენის გამოყენება

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ იურიდიული ან ტექნიკური ენა დაბრკოლებად არ იქცეს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც საპარლამენტო ინფორმაციას ეძებენ. კანონის წერისას ზუსტი ენის გამოყენების აუცილებლობის აღიარების მიუხედავად, პარლამენტი ვალდებულია მოამზადოს გასაგებ ენაზე დაწერილი მოკლე დასკვნები და მსგავსი საშუალებები, რათა საპარლამენტო ინფორმაცია მყისიერად გახდეს ხელმისაწვდომი და სხვადასხვა გამოცდილებისა და ცოდნის მქონე პირებისათვის გასაგები.

### 33. სხვადასხვა სამუშაო ენის ან ეროვნული ენის გამოყენება

თუ კონსტიტუცია ან პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს პარლამენტში სხვადასხვა უმცირესობის ენის ან სამუშაო ენის გამოყენებას, პარლამენტმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს მოსმენების სინქრონული და საპარლამენტო ჩანაწერების სწრაფი თარგმნა.

### 34. უფასო წვდომის უზრუნველყოფა

საპარლამენტო ინფორმაცია გამოყენებისა და გავრცელების მიზნით ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისათვის შეზღუდვებისა და მოსაკრებლის გარეშე.

## საპარლამენტო ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის უზრუნველყოფა

### 35. ინფორმაციის მიწოდება ღია და სტრუქტურირებული ფორმატებით

საპარლამენტო ინფორმაცია იკრიბება და ქვეყნდება ღია და სტრუქტურირებული ფორმატებით (როგორიცაა სტრუქტურირებული XML, რომლის წაკითხვა და დამუშავება შეუძლია კომპიუტერს), რათა მოქალაქეებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ, კერძო სექტორმა და მთავრობამ საპარლამენტო ინფორმაცია ადვილად გამოიყენონ და გააანალიზონ.

### 36. ტექნოლოგიური გამოყენების უზრუნველყოფა

პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საპარლამენტო ინფორმაციის ტექნოლოგიური გამოყენება. ამისთვის მან უნდა გამოსცეს ნებისმიერი ელექტრონული მონაცემთა ბაზის ან ხელსაწყოს გამოყენების შესახებ ზუსტი ინსტრუქცია, რათა მოქალაქეებმა შეძლონ საპარლამენტო ინფორმაციის პარლამენტის ვებგვერდიდან მიღება. მომხმარებლის ინტერფეისის არსებობის შემთხვევაში პარლამენტმა მისი მოხმარების გასაუმჯობესებლად საუკეთესო პრაქტიკა უნდა გაიზიაროს.

### 37. მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის დაცვა

პარლამენტის ვებგვერდს უნდა ერთოდეს პირადი ინფორმაციის დაცვის ზუსტი და მოკლე დოკუმენტი, რათა მოქალაქეებმა იცოდნენ, როგორ გამოიყენება მათი პირადი მონაცემები. პარლამენტმა არ უნდა დააწესოს წევრობის ან რეგისტრაციის ისეთი მოთხოვნა, რომელიც პარლამენტის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ზღუდავს ან მოქალაქეთა თანხმობის გარეშე პიროვნების საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვების საშუალებას იძლევა.

### 38. დაუპატენტებელი ფორმატებისა და ღია პროგრამების გამოყენება

პარლამენტმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ციფრული ინფორმაციის გამოქვეყნებას დაუპატენტებელი და ღია ფორმატებით, უფასო და ღია კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენებით.

### 39. ხელახალი გამოყენებისათვის ჩამოტვირთვის ფუნქციის დაშვება

საპარლამენტო ინფორმაცია ადვილი ჩამოსატვირთი უნდა იყოს **დიდი მოცულობითაც კი** და ისეთ ფორმატში უნდა გამოქვეყნდეს, რომელიც ინფორმაციის ხელმეორედ გამოყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

### 40. პარლამენტის ვებგვერდის მართვა

იმ ქვეყნებშიც კი, რომლებშიც ინტერნეტთან წვდომა შეზღუდულია, პარლამენტის სრულყოფილი ვებგვერდის შენარჩუნება და მისი რეგულარული განახლება თანამედროვე, ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში საპარლამენტო ღიაობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საპარლამენტო ინფორმაციის ელექტრონული ხელმისაწვდომობა; პარლამენტს კომუნიკაციის არსებით საშუალებად უნდა მიაჩნდეს ინფორმაციის ინტერნეტით გავრცელება.

### 41. ძებნის მარტივი და სტაბილური მექანიზმების გამოყენება

პარლამენტმა მაქსიმალურად უნდა გაამარტივოს სასურველი საპარლამენტო ინფორმაციის მოძიება. ამისთვის პარლამენტმა უნდა შექმნას მონაცემთა ბაზები, რომლებშიც შესაბამისი მეტადატის გამოყენებით შესაძლებელი იქნება როგორც მარტივი, ისე რთული ძებნა. საპარლამენტო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთ ადგილას, რომელიც დროთა განმავლობაში არ იცვლება, მაგალითად, ვებგვერდი მუდმივი ბმულით.

### 42. დაკავშირებული ინფორმაციის მიბმა

პარლამენტი უნდა ეცადოს, მოქალაქეებს შესაძლებლობა მისცეს, საპარლამენტო ინფორმაცია მოიძიონ სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ბმულით; მაგალითად, კანონპროექტში აღნიშნული მონაცემების დაკავშირება ბმულით კანონპროექტის წინა რედაქციასთან, შესაბამის საკომიტეტო ანგარიშებთან, ექსპერტების მოსაზრებებთან, ინიციირებულ ცვლილებებთან და შესაბამისი კანონპროექტზე საპარლამენტო დებატების ოქმთან.

### 43. შეტყობინების მომსახურების გააქტიურება

პარლამენტმა შესაძლებლობის ფარგლებში მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გამოიწერონ მომსახურება, რომელიც მათ საპარლამენტო საქმიანობის ზოგიერთ სფეროში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან სხვა ტექნოლოგიების საშუალებით.

### 44. ორმხრივი კომუნიკაციის ხელშეწყობა

პარლამენტი უნდა ისწრაფოდეს, გამოიყენოს ინტერაქტიული ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც გაზრდის მოქალაქეთა შესაძლებლობას, წვლილი შეიტანონ კანონშემოქმედებით და სხვა საპარლამენტო საქმიანობაში, აგრეთვე ხელს შეუწყობს მათ ურთიერთობას პარლამენტის წევრებთან ან პარლამენტის თანამშრომლებთან.

---

[i] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-19 და 21-ე მუხლები) და გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (მე-19 და 25-ე მუხლები)

[ii] ეს ნორმები და სტანდარტები მოიცავს საპარლამენტთაშორისო გაერთიანების, თანამეგობრობის საპარლამენტო ასოციაციის, სამხრეთ აფრიკის განვითარების საზოგადოების საპარლამენტო ფორუმის, Assemblée parlementaire de la Francophonies და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის საპარლამენტო კონფედერაციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

[iii] საპარლამენტთაშორისო გაერთიანება და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი. სახელმძღვანელო პრინციპები საპარლამენტო ვებგვერდების შესახებ, მარტი, 2009

[iv] იმ საპარლამენტო მონიტორინგის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სრული, გა-ნახლებული სია, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ან რომლებიც მხარს უჭერენ დეკლარაციის მიზნებს, იხილეთ: http://www.openingparliament.org/organizations